შეთანხმება N1

შუახევის მუნიციპალიტეტსა და იმ „ბეგლარ კეკელიძეს“ შორის 2015 წლის 29 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 196 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

დაბა შუახევი 05 ოქტომბერი 2015 წელი

2015 წლის 29 ივლისს შუახევის მუნიციპალიტსა და იმ „ბეგლარ კეკელიძეს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 196 შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგაზეულში გზის რეაბილიტაციის (გაბიონების მოწყობა) სამუშაოების შესყიდვაზე.

შუახევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სოფელ ნიგაზეულში გათვალისწინებული იყო გზის რეაბილიტაციის (გაბიონების მოწყობა) სამუშაოები, რაზეც შედგენილი იყო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მშენებლობის მიმდინარეობის დროს წარმოიქმნა გაუთვალისწინებელი დაბრკოლება ,კერძოდ: არსებული ყორე-ქვის კედლის დაშლის შემდეგ(რომელიც შემდგომ უნდა გამოყენებულიყო და ცემენტის ხსნარით ახალად უნდა აშენებულიყო) აღმოჩნდა ფიზიკურად დიდი ქვები, რომლის გადატანა და დამუშავება აღემატება ადამიანურ შესაძლებლობებს, საჭიროა სპეცტექნიკა, რაც მოითხოვს დიდ ხარჯებს. აღნიშნულის გამო მიმწოდებელმა წერილობით მიმართა შემსყიდველს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და აღნიშნული ყორექვის კედლის აშენების და წყალსაწრეტი არხის მოწყობის სამუშაოების ნაცვლად განეხორციელებინა იგივე ღირებულების მონოლითური რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები. საპროექტო ორგანიზაციის მიერ შეტანილი იქნა ცვლილებები სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი), და მეორეს მხრივ იმ „ბეგლარ კეკელიძე“ (შემდგომში - მიმწოდებელი) , მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეებს შორის 2015 წლის 29 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 196 ხელშეკრულების მე-10- მუხლის საფუძველზე შეთანხმდით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შუახევის მუნიციპალიტეტისა და იმ „ბეგლარ კეკელიძე“-ს შორის 2015 წლის 29 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 196 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში და სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკში და დაერთოს ხელშეკრულებას ახალი კორექტირებული დანართების სახით.
2. ხელშეკრულების დანაჩენი მუხლები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანი ხელშეკრულების მიმართ
5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლიარად და წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 29 ივლისის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 196 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6. წინამდებარე მხარეთა შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

შემსყიდველი:

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ტარიელ ებრალიძე

მიმწოდებელი:

იმ: ბეგლარ კეკელიძე

ნიგაზეულში გზის რეაბილიტაციის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა

	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	გრუნტის დამუშავება ბულდოზერით მისი შემდგომი გადაადგილებით	100მ3	0.10	2823.00	282.30
2	კლდოვანი გრუნტის დამუშავება სანგრევი ჩაქუჩით (54.375X0[illegible]X4=134)	მ3	94.800	47.69	4521.01
3	გრუნტის დამუშავება ხელით გვერდზე დაყრით	მ3	10	9.48	94.80
4	მონოლითური რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა	მ3	11.6	367.81	4266.60
5	გრუნტის დამუშავება და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელზე	100მ3	0.1	2237.00	223.70
6	მონოლითური რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა	მ3	13.4	310.78	4164.50
	ჯამი	ლარი			13553
	ზედნადები ხარჯები	10%			1355
	ჯამი	ლარი			14908
	სახარჯთაღრიცხვო მოგება	8%			1193
	ჯამი	ლარი			16101
	დღგ	18%			2898.15
	სულ ჯამი	ლარი			18999

[illegible]ენტის ხელმოწერა

ნიგაზეულში გზის რეაბილიტაციის გეგმა გრაფიკი

პრეტენდენტი - იმ ბეგლარ კეკელიძე

N	სამუშაოს დასახელება	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი
1	გრუნტის დამუშავება ბულდეზორით მისი შემდგომი გადაადგილების მიზნით				
2	კლდოვანი გრუნტის დამუშავება სანგრევი ჩაქუჩით(54,375X0.6X4=134)				
3	გრუნტის დამუშავება ხელით გვერდზე დაყრით				
4	მონოლითური რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა				
5	გრუნტის დამუშავება და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელზე				
6	მონოლითური რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა				

იმ : ბეგლარ კეკელიძე